№ 125 სამშაბათი, 24 თებერვალი. 1896—1897 სამშაბათი, 24 თებერვალი, № 125

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება

აზოვის ზღვაოსნობისა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლის თებერვლიდან გაიმართა **დრო-გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.**

ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.

ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით.
ბათომში მოდის—ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით,
ფოთიდან გადის—სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ოდესაში მოდის—კვირაობით და სამშაბათობით.

გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში, სევასტოპოლში და ევპატორიაში.

ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:

ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ბ. რივკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილს.

ВЫСОЧ. УТВЕР. О-ово АЗОВСК. ПАРОХОДСТВА

Срочные товаро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.

Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**—І. Б. Рывкина, Велямин. 3. **Батумѣ**—Я. М. Варшавскаго и **Поти**—**А**. Д. Гугущвили.
(50—1)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-დსხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელსკავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას,3 არშინიდან მოყოლებული12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.

◆ **ფასი მასალებისა მეტად იაფია** ◆

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში. მსურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, аиу Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—35)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ივანე როსტომაშვილის

ალბომი

„ქართველთა ცრომი“

მრავალის სურათებით
ფასი გაგზავნით და მშვენიერის ყდით 5 მან.
ვინც ნაღდად ათს ცალს იყიდის, ალბომი 4 მან. დაეთმობა.
ადრესი: ტფილისი, ივანე როსტომაშვილს. *Тифлисъ, И. Ростомашвили.*

წლიური ჩვეულებრივი კრება

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა

პირველ ამხანაგობისა

დანიშნულია 2 მარტისათვის სოფელ გუბს, ამხანაგობის სადგომში. კრებას მოხსენდება:

1) წარსულ 1896 წლის ანგარიში ამხანაგობის ალებ-მიცემობისა;

2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისა; 3) პროექტი ამხანაგობის ახალი წესდებისა, რომელიც, კრებისაგან მოწონების შემდეგ, წარედგინება უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლად;

4) ამხანაგობის მმართველი სთხოვს კრებას, არჩეულ იქმნენ მისი მოადგილე და სხვა ზოგიერთ თანამდებობის პირნი;

5) მიეცეს ნება-რთვა განყოფილებათა გახსნისა ზუგდიდში და საჩინოში.

6) წილის ახალი ბარათების გამოცემისა;

7) სესხის აღებისა ამხანაგობის ალებ-მიცემობის გასაძლიერებლად;

8) საჭირო არის, მიექცეს ამხანაგობის ყურადღება ჩვენებურ შალების ალებ-მიცემობას, ესე იგი, ამხანაგობამ უნდა იკისროს, როგორც გაუმჯობესობა შალეულობის ქსოვისა, ისე გასაღება ნაქსოვებისა.

ნ. წერეთელი.

(5—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი).

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა,

მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 10—11 ს. ქალითა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტასკვიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

ი. ფ. პრიტასკვიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6 $^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ზ თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გერატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს.ზ. თოფურია.**

(წ.)

ქუთაისის საქალებო უფასო სკოლის უფროსი უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც

პირველი ხარისხის ბანქოსჭირია, იყიდონ ამ სკოლაში იმავე ფასად, როგორც ქუთაისის ვაჭრები ჰყიდიან, რითაც დიდს შემწეობას აღმოუჩენენ სკოლას.

(10—8)

ვექილი

გ. ბ. გვაზავა

კვისრულობ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების წარმოებას.

(გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლი, № 6).

დილით 9—10, საღამოს 5—7 საათ.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, Головинскій, д. Мухранскаго, Г. Б. Гвазава.* (30--25)

იაფად, საშუდამოდ და პირიახად ვსდგამ სახლებში

ელექტრონის

ზარებს

მსურველთ საახალწლოდ იაფად გავუმართავ გაფუჭებულს და დამდგარს ზარებს.

შეიძლება მომმართონ გ. ჩარკვიანის სტამბაში, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი.

მ. იანქოშვილი

(20—11)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

23 თებერვალი.

პეტერბურგი. 22 თებერვალს წაბრძანდნენ მოსკოვს დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული და დიდნი მთავარნი ბორისი და კირილე ვლადიმირის ძენი.

ლონდონი. „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ: კრიტის სამხრეთ ნაპირებს ნაკლებად დაუშინეს ყუმბარები. ამის გამო „სფაქტერიამ“ და სხვა გემებმა სურსათი გადიტანეს ნაპირზედ. საბერძნეთის ჯარის-კაცებმა მთებზედ გადმოიტანეს 3 თვის სურსათი. სელინოში ამ ჟამად 7 გემია, რომლებიც, თუ საჭირო აღმოჩნდა, 700 კაცს გადმოსხამენ. ხმა დადის, რომ აჯანყებულები აკროტირიდგან ზღვით წავიდნენ აპოკორონაში.

ლონდონი. მონტევიდეოდგან იწერებიან, რომ ურუგვაიში რევოლიუცია დაიწყო.

სტამბოლი. ამბობენ, რომ დიდ სახელმწიფოთა მიერ საერთოდ შედგენილ მიწერილობისა გამო ოსმალეთი დაეკითხა ამ სახელმწიფოებს, რა ხასიათის თვით-მმართველობა უნდა მიენიჭოს კრიტსაო.

ოსმალეთში ძლიერ უკმაყოფილონი არიან, სერბიის მეფის მისასალმებლად სულთანის მიერ სოფიაში გაგზავნილი კაცი შესაფერად არ მიიღესო.

კანეია. საქმის ვითარება არ შეცვლილა. ადმირალთა შორის სრულმა თანხმობამ აჯანყებულთა უფრო მამაცი სარდლებიც-კი შეაფიქრიანა. ოსმალეთის მთავრობა უწინდელივით ძლიერ თავდაჭერილია.

კანეია. ვაროსის ბანაკიდგან დაბრუნებულმა საბერძნეთის ელჩმა ადმირალებს პასუხი მოუტანა ტყვეთ წაყვანილ ოსმალელთა შესახებ. ვაროსი იმ პირობით გაანთავისუფლებს სილინოსა და სხვა ქალაქებში მყოფ ტყვეებს, რომ იარაღი დაჰყარონ და საბერძნეთის წინააღმდეგ არ იბრძოლონო.

გუშინდელი დეპეშა

22 თებერვალი

პეტერბურგი. 22 თებერვალს ცეცხლი გაჩნდა ოპოჩინინის ქუჩაზედ, სახლში № 27. ექვსი კაცი დაიწვა.

ლონდონი. კანეიდგან სწერენ გაზეთ ,,Times“-ს, სიტიიდგან ამბავი მოვიდა, რომ მახლობელ სოფლებში მრავალი მაჰმადიანი მოკლესო.

„Standad“-ს დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან: მინისტრთა საბჭომ დაადგინა, დიდ სახელმწიფოთა მიერ გამოგზავნილ ნოტაზედ გარდაწყვეტილს პასუხს ნუ გავსცემთო. როგორც ამბობენ, ოსმალეთი თანხმდება კრიტის თვით-მმართველობაზედ, მაგრამ დაწვრილებით პირობის განხილვაზედ უარს ამბობს, ვიდრე საბერძნეთის ჯარები კუნძულიდგან არ წავლენო.

კონსტანტინეპოლი. პერაში დააპატიმრეს სამი კადეტი საზღვაოსნო სასწავლებლისა, რომელთაც ოსმალეთის ახალგაზდა დასის მიერ დაბეჭდილი ფურცლები უპოვნეს.

სალონიკის რკინის გზით ჯარის გადაყვანა გვიანდება გზის უვარგისობისა გამო.

რომი. რუდინის სამინისტროს საარჩევნო პროგრამა არჩევს აფრიკის საქმეს. პროგრამა უარ ჰყოფს აბისინიის შემოერთებას და კრიტეაზე ხელის აღებას და ამტკიცებს, საჭიროა დავინარჩუნოთ მხოლოდ მცირე ადგილი, რომლის დაცვა არ გაგვიძნელდებაო. ,,იტალიის ხალხი უნდა დადგეს და ტერიტორიის გადიდებას, ან გაძლიერებას, აირჩიოს ან პოლიტიკა ომიანობისა ან ეკონომიურ წარმატებისა“. რაც შეეხება

გარეშე საქმეთა პოლიტიკას, მთავრობის დეკლარაცია ამბობს: „შფოთი და სისხლის ღვრა აღმოსავლეთში ვალადა სდევს იტალიას იმ დრომდე შეინახოს თავისი ძალა, ვიდრე გარდაწყდება ის საქმე, რომლისკენაც ეხლა მთელის ევროპის ყურადღებაა მიქცეული და რომელზედაც შესაძლებელია დამყარებული იყოს ჩვენის ქვეყნის სიდიადე და ბედ-იღბალი. მთავრობა დარწმუნებულია, რომ მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა ერთობას შეუძლიან აიტანოს ომი, რომელსაც მრავალგვარი შედეგი მოჰყვება. მთავრობა სცდილობდა თავიდგან აეცდინა ყოვგლგვარი უთანხმოება, რომელიც-კი მშვიდობიანობას განსაცდელს უქადდა. იგი მოწადინებულია, რომ არავითარმა სახელის მოყვარეობამ ან მოუთმენლობამ არ შეაბორძიკოს მშვიდობიანობა. რომელსაც ასეთის გულმოდგინებით იცავენ დიდნი სახელმწიფონი და რომელიც ასე ძლიერა ჰსურს ყველ, ერს.

ბელგრადი. მეფე სოფიიდგან დაბრუნდა.

სოფია. მინისტრებმა სტოილოვმა და სიმიჩმა ხანგრძლივის მოლაპარაკების შემდეგ შეადგინეს პროგრამმა თუ როგორ უნდა მოიქცნენ ბოლგარიისა და სერბიის სახელმწიფონი, რომ ბალკანეთში ამ განსაცდელის დროს მშვიდობიანობა არ დაირღვეს.

კანონი და მთავრობის განკარგულება.

—

უმაღლესნი წყალობანი: ებოძათ წმ. ანნას ორდენი მესამე ხარისხისა: ზუგდიდის მაზრის უფროსს თ. ივანე ანდრონიკაშვილს, ტფილისის მეათე ნაწილის პოლიციის ბოქაულს—მიხეილ თუმანიშვილს, კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელს ნიკოლოზ ლომაურს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს იოსებ სანებლიძეს, ქუთაისის გუბერნიის საერო სკოლების ინსპექტორად ნამყოფს კონსტანტინე ქორქაშვილს, განჯის მაზრის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს ფარნაოზ კიკნაძეს და კავკასიის სტრელკოვოი დრუჟინის კაპიტანს—ვასილ კვანჭახაძეს

—

ადმინისტრაცია: სიღნაღის მაზრის მმართველობის რეგისტრატორი ბეგიაშვილი—დანიშნულ იქმნა იმავე მმართველობის თარჯიმნად; ახალციხის მაზრის მმართველობის მდივანი ბაქრაძე—გადაყვანილ იქმნა სიღნაღის მაზრის მმართველობის მდივნად.

ახალი ამბავი

—

⁂ ტფილისის ნიხრის გამო. ტფილისის გამგეობისაგან დადგენილ ნიხრებს რომ ყური უგდოს კაცმა, ეგონება იმის ყასაბხანაში კამეჩი და თხა სულ არ იკვლის და ტფილისის მცხოვრებნი მხოლოდ ძროხისა და ცხვრის ხორცს მიირთმევენო. რადგან ნამდვილი ასე არ არის, მაშ სჩანს გამგეობამ ან არ იცის, რომ ყასბებში კამეჩსა და თხასაც ჰხოცვენ და ან კიდევ ძროხისა და კამეჩის ხორცს ერთ ხარისხად სთვლიან; ხოლო ცხვრისა და თხის ხორცში ვერავითარ გარჩევას ვერა ჰხედვენ. ეს მით უფრო საკვირველია ქალაქის განათლებულ მზრუნველებისაგან, რომ ამ გარჩევას ჩვენი სოფლების მდაბიო მამასახლისებიც კი ჰხედვენ და ხორცეულის ნიხრში აუცილებლად ცალკე აღნიშნენ ხოლმე კამეჩისა და თხის ხორცის ფასებს გამყიდველთათვის სავალდებულოდ. მაგალითად, ორიოდე სოფლის ნიხრი ვიცით (აქედამ 40—45 ვერსზეა), სადაც კამეჩის ხორცს ძროხის ხორცის ორი მესამედი, ხან ნახევარი ფასი აქვს ხოლმე, ხოლო თხისა'—სამი მეოთხედი ცხვრის ხორცის ფასი. ასეთი ფასების დანიშვნა მამასახლისების უანგარიშო თავის ნებისგან-კი არ წარმოსდგება, არამედ საქმის მოფიქრებისგან, საგნის ღირსების აწონდაწონისაგან და გონივრულ ანგარიშისაგან.

ვინ არ იცის, რომ კამეჩისა და თხის ხორცი ღირსებით ბევრით მდარეა ძროხისა და ცხვრისაზედ. კამეჩის ხორცი მაგარია, უფიტო და გემოთი ბევრით დაბლა სდგას ძროხისაზედ; ხოლო თხისა—თითქმის მუდამ მქლე (ფიცხი ხასიათის გამო) და თავისებურ უსიამოვნო სუნის მქონე.

ეს კარგად ესმის ჩვენ ხალხს, და ამიტომაც ხსენებული პირუტყვები საკლავ საქონლად არ მიაჩნია და თუ აშენებს მათ—მხოლოდ სხვა დანიშნულებისათვის. თხას აშენებს იგი (შედარებით ძალიან მცირედს), ცხვრის ფარის წინამძღოლად, ოჯახში ბავშვებისთვის მეწველად და ტიკჭორებისთვის. კამეჩს კიდევ იგი ზრდის მხოლოდ მუშა საქონლად, რადგან ძალიან ღონიერი და ჯაფის ამტანი პირუტყვია. (ეს გარემოება უფრო ამდარებს კამეჩის ხორცს და საჭმელად თითქმის უვარგისად ხდის).

როგორც მუშა საქონელი, კამეჩი ძვირადა ფასობს, ექვს თუმნიდგან თხუთმეტ თუმნამდის. ამიტომაც საყასაბხანოდ ბებერი, სნეული და გადაღრძობილი კამეჩი ხდება, აგრეთვე რაიმე შემთხვევით დაშავებული—დაჩეხილი, ფეხ-მოტეხილი და სხვ. ასეთ კამეჩებს ფასი აღარა აქვსთ, ტყავისა და ქონის ფასად-ღა იყიდებიან, ასე შვიდიდგან თხუთმეტ მანეთამდის, თუმცა წონით საშუალო ხართან ანუ ძროხასთან შედარებით, ერთ ნახევრად და ხან ორჯერაც მეტი წონისანი არიან.

ეს ყველა კარგად ესმით ჩვენის სოფლების გაუნათლებელ მამასახლისებს და ხორცზედ ნიხრის დადგენის ჟამს ამით ხელმძღვანელობენ; მაშ საკვირველი არ არის, რომ ჩვენი ქალაქის განათლებულ მზრუნველებს აქამდის ეს ვერ გაუგიათ და ძროხის და გამხრჩვალ კამეჩის ხორცს ერთ ფასად ასაღებენ მცხოვრებლებზედ.

სოფლების ნიხრი რომ მივიღოთ ზომად, როგორც უფრო გონივრულ ანგარიშზედ დამყარებული, და იმასთან შეფარდებით ვიანგარიშოთ, კამეჩის ხორცი ტფილისში ოთხ ხუთ კაპიკზედ მეტად არ უნდა იყიდებოდეს (სოფელში სამი და ნახევარი კაპიკია), ხოლო თხისა—ხუთ-ექვს კაპიკად (სოფელში ოთხი—ხუთი ღირს). ტფილისის ყასაბხანაში შარშან და შარშან წინ დაკლულ კამეჩის და თხის ორთა შუა რიცხვი რომ ავიღოთ, წელიწადში გამოვა კამეჩი 2461 და თხა 1819. კამეჩი რომ ჩავაგდოთ საშუალოდ თხუთმეტი ფუთი და თხა ორი ფუთი, გამოვა, რომ ტფილისის მცხოვრებნი, ქალაქის გამგეობის წყალობით, წელიწადში ყასბებს უხდიან ხარკს 47,208 მან. 40 კ. და სამწუხარო და სამძიმო მით უფრო არის ეს ხარკი, რომ იმის გადამხდელი მცირედი ქონების მცხოვრებნი არიან, რომელთაც ოსტატი მზაურეულები არა ჰყავსთ, რომ ყასბებს მაგრა დაუდგნენ, როდესაც ძროხისა და ცხვრის ხორცის მაგიერ კამეჩისა და თხის ხორცის შეტყუება უნდათ.

არ შეგვიძლიან არ ვიკითხოთ: ტფილისის გამგეობისაგან ასეთი უყურადღებობის მიზეზი რა არის—უცოდინრობა, თუ სხვა რამ ანგარიში, რომელიც ჩვენთვის მიუწდომია?!..

⁂ მთავარ-მართებლის ჩამობრძანება. ნამდვილის წყაროდან გავიგეთ, რომ მთავარ-მართებელი გენერალი ინფანტერიისა თავადი გ. ს. გოლიცინი პეტერბურგიდამ 4 მარტს გამოემგზავრება, როსტოვიდამ 6-ს, საღამოს, კავკავიდამ 8 მარტს და ტფილისში ჩამობრძანდება 9 მარტს, ნაშუადღევის 6 საათზე. („კავკაზ.").

⁂ თავის მოკვლა ჯვარის წერის დღეს. ქ. ახალციხეში ერთს აქაურს მკვიდრს, გვარად ჩ—ს, 17 თებერვალს ჯვარი უნდა დაეწერა და ქორწილსაც ამზადებდა. თითონ იმ ჯვარის წერამდე, საღამოს 5 საათზე, ჩაიკეტა თავისი ოთახის კარები და რამოდენჯერმე დასცალა დამბაჩა: ორი ტყვია კედელს ესროლა, თურმე, თავდაპირველად, მესამედ თითონ დაიმიზნა, მაგრამ დამბაჩამ უმტყუნა და ბოლოს, ხელ-მეორედ, მუცელში დაიმიზნა, და მძიმედ დაიჭრა: ექიმები ამბობენ, რომ საცოდავი საშიშს მდგომარეობაში არისო... რამ აიძულა ეგ ბედ-შავი თავისს გამომეტებაზე და მერმე კიდევ ჯვარის წერის ორი-სამი საათით წინ—არავინ იცის.

⁂ ყეენობის ორშაბათი. ვინ არ იცის საქართველოში ყეენობის ორშაბათი (შავი ორშაბათი). საქართველოს ყველა მხარეს ამერ-იმერეთში ყოველი სოფელი და ქალაქი ხდილობს ამ დღეობას; მეტადრე ტფილისი ხდილობდა ადრე და ეხლაც ცოტ-ცოტად. ტფილისი იმიტომ ხდილობს, რომ სპარსეთის შაჰი (ყეენი) ამ სამასის წლის წინად შავ ორშაბათს დაამარცხეს ქართველებმა და ტფილისელებმა ტყვედ დაიჭირეს, ატარეს ქუჩებში და მერე მტკვარში ჩააგდეს. ამის ნიშნად დღესაც, დიდმარხვის ორშაბათს ყეენი წყალზედ მიჰყავთ და სწუნწკლავენ. მეფეების დროს ორშაბათს, ყეენის ქალაქში ჩამოტარების შემდეგ, მეფესთან მივიდოდნენ, მიულოცავდნენ დიდ-მარხვის პირველ დღეს და ისურვებდნენ მტერზე გამარჯვებას. რუსობის დროსაც ხალხი ყეენით მივიდოდა მთავარ-მართებელთან და მიულოცავდა. მილოცვის შემდეგ პარკებით ფულს გამოიტანდნენ და მაღლიდამ გადმოუყრიდნენ. ქუჩებში მოგროვილ და ნაბოძებ ფულს აგროვებდა რამდენიმე კაცი. მიჰყავდათ ყეენი წყლის პირას რიყეზე ანჩისხატთან და მთელი ქალაქის ხელოსანი ხალხი, თუ ამქრობა, სადილს ჰმართავდა.

ყველიერის კვირას ორშაბათამდის ყოველ უბანში ან ქუჩაზე ცალკე ყეენები ისხდნენ ბანებზე, გამვლელ-გამომვლელს ძირს ხელ-ჯოხიანები ფულს სთხოვდნენ: „ალაჯან, ყეენის სალამი, ყ ენის სალამიო!" ვინც მისცემდა, შესძახოდნენ: „ააშენოს, ააშენოს". ვინც არ მისცემდა და გაივლიდა, შეჰყვიროდნენ: „კუტრია, კუტრია, ჯიბეს თაგვები უყრია!" ხუთშაბათიდამ მოყოლებული იმართებოდა მუშტი-კრივი, ქვის კრივი, სალდასტის (ხის ხმლის) ომი, რომელიც ნამდვილს ომს ემზგავსებოდა. ეს სახალხოდ იყო გამართული და პირველი გამოჩენილი კაცებიც-კი მონაწილეობას იღებდნენ და ხან მოთავეებიც იქნებოდნენ მოკრივე ხალხისა, რომელიც იყოფებოდა ზემო უბნელებად და ქვემო უბნელებად (მიჯნა იყო სიონი).

ევროპაში ყველიერის კვირა, კარნავალი, სახალხო დღესასწაულობით, თამაშით და მხიარულებით იციან. პირველ ხარისხის ნასწავლ საზოგადოებიდამ უკანასკნელ, უსწავლელ მუშამდის ყველანი ერთად ერთობიან, იცმენ საგანგებოთ სხვა და-სხვა დროის ტანისამოსებს, იკრიბებიან ერთად, ირჩევენ მოთავეებს და იმათის გაძღოლით ჰმართვენ ქუჩებში პროცესსიებს, სიარულს, სიმღერა-მუზიკით. ქალაქების საზოგადოებანი ფულებსა ჰხარჯვენ. ზოგჯერ მთავრობაც-კი ნიშნავს ამისთანა გართობისათვის ფულებს.

⁂ პატრიოტული შეწირულობა. გიორგი თეოდორეს ძე კონდუროვს, ტომით ბერძენს, ამ დღეებში გაუგზავნია საბერძნეთის ბატონიშვილის გიორგისათვის 60,000 მანათი კრიტის ბერძენთა მისაშველებლად.

⁂ წლიური კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა. როგორც მკითხველები დღევანდელ განცხადებიდან დაინახავენ, 2 მარტს სოფელ კუხში მოხდება წლიური კრება ზემოდ ხსენებულის მეაბრეშუმეთა ამხანაგობისა. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები: 1) 1896 წლის ანგარიში ამხანაგობისა, 2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომდინარე 1897 წლისა, 3) პროექტი ამხანაგობის წესდებისა, 4) ამხანაგობის გამგებელის და სხვა თანამდებობის პირთა არჩევანები, 5) ამხანაგობის განყოფილებათა გახსნა ზუგდიდსა და საჩინოში, 6) წილის ახალი ბარათების გამოცემა, 7) სესხის აღება ამხანაგობის აღებ-მიცემობის გასაძლიერებლად და 8) მოხსენება შალეულობის ქსოვის გაუმჯობესობისა და საზოგადოდ მათი გასაღებისა.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამხანაგობის წევრები საკმაოდ დაესწრებიან ამ კრებას და მოისმენენ და განიხილვენ ზემოდ ჩამოთვლილ კითხვებს, რომელნიც ფრიად საინტერესონი და საჭირ-ბოროტონი არიან ჩვენის ქვეყნისათვის.

ამ ჟამად ამხანაგობას ჰყავს, თურმე, ათას სამასამდე წევრი და სწორედ ამ გარემოებაში ვხედავთ ამხანაგობის საქმის გაძლიერებას და საზოგადოდ მეაბრეშუმეობის საქმის დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში. ვუსურვებთ ამხანაგობის კრებას ყოველ წარმატებას და საკეთილოდ დამთავრებას.

⁂ სიმფონიური კონცერტები დიდმარხვაში წელს გამართულ იქნება სათავად-აზნაურო თეატრში ნ. ს. კლენოვსკის ლოტბარობით. პირველი კონცერტი გაიმართება შაბათს, 8 მარტს.

⁂ თიანეთის დეპოს რევიზია. „კვალში" სწერია, რომ თიანეთის დეპოს რევიზია გათავებულა; აღმოჩენილა, რომ რისაც აქამდე მოგებას აჩვენებდნენ სულ დაკარგულა და პირ იქით დეპოს თავნიდამ დაჰკლებია 16 მან. და 16 კაპ.

⁂ ყალბი ფულების ოსტატის შეპყრობა ქუთაისში. აქამდინ ნახიჩევანსა და ეჩმიაძინში აკეთებდნენ ყალბ ფულებს და ძალიან ჰქონდათ სახელი გატეხილი იქაურ მკვიდრებს; ეხლა თურმე ქუთაისშიაც დაუწყიათ ეს ხელობა და ჩვენებურებს აბრალებდნენ ავაზაკობას და არამზადობას; ხოლო, როგორც აღმოჩნდა, ქუთაისის ხელოსანიც თურმე ნახიჩევანელი თუ ეჩმიაძინელი ყოფილა, გვარად ოღანეზიანცი...

⁂ სახლის გაქურდვა. გუშინწინ, 23 თებერვალს, ორბელიანის ქუჩაზე, ფავლენოვის სახლში № 38, ღამის 3 საათზე გაჰქურდეს სახლი მოღინოვისა, სადაც ეძინა დედას ხუთი შვილით. ჯერ გაეტეხნათ ფანჯრის ერთი შუშა და მერე გაეღოთ მთლათ ფანჯარა; მისულიყო უფროს ვაჟთან და საბანი პირზედ წაეხურა. ვაჟსა ჰგონებოდა დედა მხურამს საბანსაო; შემდეგ გამოეტანა სამოვარი და გარეთ დაედგა, ვერცხლის კოვზებიც სარკმელში დაეწყო. მისულიყო კამოდთან და აეღო ქალის ოქროს საათი, ღირებული 35 მან. და გამოსულიყო, კოვზები და სამოვარი ველარ წაეღო. შინ მწოლართ, სიცივემ რომ შეაწუხა, მაშინ გაიგეს სახლის გაქურდვა, მაგრამ რაღას უშველიდნენ.

⁂ დაბა ხაშური. ჩვენ-კი არ გვეთქმის, თუ ღმერთი გასწყრა და შავი ჭირი გვეწვია, მზად ვართ საბრძოლად თქო! სხვა დაბა-ქალაქებისა რა მოგახსენოთ და ხაშურში შავი ჭირი არხეინად ინავარდებს; რა გინდათ, რომ მას აქ ხელს არ უწყობდეს: მუდამ ტალახიანი ქუჩები, სრულებით გაუსუფთავებელი ეზოები და მეიდნები, აყროლებული ტბები და ათასნაირი დამპალი ლეში და მძოვრი. შავი ჭირი ღვთის მადლით ჯერ არ გვწვევია, მაგრამ ციებ-ცხელება და სხვა ბევრი გადამდები ავად-მყოფობა კი არ გვაკლია ასეთის სიბინძურის წყალობით. ნუ თუ ძნელია, რომ ჩვენი ქუჩები და ეზოები ჩვენვე გაგვასუფთავებინონ, ზედ ქვიშა მოგვაყრევინონ და მით „მომავალს სტუმართან" სირცხვილს აგვაშორონ! დრო არის, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ ასეთს ჩვენს გაჭირვებას გადმოხედოს მოწყალე თვალით, ვისიც ჯერ არს და განსაკუთრებით ბ-ნ ბოქაულმა და მამასახლისმა...

⁂ სოფ. სუფსა. საბანძურე. ჩვენს სოფელში ჯერ შემოსვლა გაუჭირდება კაცს და თუ როგორმე შემოვიდა—გაბრძანების იმედი ნუღარ ექნება. ისე „შავი ჭირის მდივანს" დაუმშვენდეს ცხვირი, როგორც დამშვენებულია ჩვენი ქუჩები. სწორედ წელზედ სდგას ტალახი, რა და რა ცხოველების დამპალი ლეში გინდათ, რომ ჩვენს ქუჩებზედ და ეზომოედნებზე არ წააწყდეთ. თქვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერია, თუ შავი ჭირი შემოგვეპარა, მთლად გაგვწყვეტს. ნეტავი თუ აღმოჩნდეს ვინმე ისეთი მადლიანი, რომ სოფელი გაგვისუფთაოს; ქუჩების ნაპირებს თხრილი გაავლოს და დამპალ წყალს გზა გაუკვალოს. მართალია, წინა ეზოები გაიწმინდა, მაგრამ რაც სახლების უკან არის, იმას ვინ მოსთვლის...

22 ამ თვეს რკინის გზის მატარებელმა მარჯვენა ფეხი მოსტეხა 24 წლის ვაჟ-კაცს, იაგორ ქანტურიას. საცოდავი კარგი შესახედავი, ჯანსაღი და პატიოსანი კაცი იყო და მისი ამ რიგად გაფუჭება ყველასა სწყინს. ადგილობრივმა ფერშალმა აღმოუჩინა შემწეობა და მერმე რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

⁂ **დ. ზუგდიდი.** **მესურათეს დასურათება.** წარსულს 1895 წელს, ოქტომბრის 20-ს, ზუგდიდში გახლდათ ერთი პატივცემული ჩვენებური მესურათე, „ფოტოგრაფი“ ბ-ნი ვ. რ—ძე, რომელმაც თავაზიანობით დიდძალი მუშტარი მიიზიდა. კიდევაც ყველა მისი მადლობელი და კმაყოფილი იყო, ფოტოგრაფიულ სურათებსაც კარგად აკეთებდა; მაგრამ, ბოლოს, დალოცვილის შვილი, ცოტათი ზღილობიანად ვერ მოიქცა ძ წინანდელი სიტკბოებაც მუშტრებისადმი გაამწარა. საქმე ის არის, რომ სოხუმში წასასვლელად მომზადებული იყო და საქმის ალებას მაინც თავს არ ანებებდა; საქმეს ვინ ჩივის, ბატონო, „ზაკაზებთან“ ბესაც იღებდა... ასე რომ ბევრს ჩვენთაგანს ჰქონდა ბე მიცემული. როცა მისი წამგზავრება შევიტყეთ, შევსჩივლეთ თვითონ ჩვენს კეთილს მესურათეს ჩვენი დარდი, და იმანაც დიდის იმედით და პატიოსანის სიტყვით დაგვარწმუნა, რომ სოხუმიდან გამოგიგზავნით ყველას თავთავის სურათებსაო. ჩვენც, რასაკვირველია, თანახმანი გავხდით, (ან მეტი რა გვეთქმოდა). მაგრამ ტყუილი იმედი და ცარიელი ლოდინი შეგვრჩა ხელში. დიდი ხანია ვუცდით ზუგდიდში დაბადებულ და სოხუმში დაბერებულ ჩვენს სურათებს. ასე და ამ გვარად გათავდა ზუგდიდელების სურათების ამბავი და თვითონ მესურათეს დასურათ-ხატება!...

⁂ **იქიდანვე.** ჩვენში ამინდები კარგია და ჯანმრთელობაცაა, მხოლოდ ს. ხეთაში (ზუგდიდის მაზრაში) ყვავილმა იჩინა თავი, მაგრამ იმედია მალე დასცხრეს ექიმების მიშველებით.

ანტონ ზუგდიდელი.

⁂ **დაბა გუდაუთი.** (აფხაზეთი). **მამასახლისობა.** გასულ ქრისტეშობისთვეს გარდაიცვალა დ. გუდაუთის მამასახლისი გ. თოფურიძე და ჯერაც საზოგადოებას არ ამოურჩევია ამ თანამდებობაზე კაცი. რადგანაც ამ მოკლე ხანში უნდა ამოირჩიონ მამასახლისი, საზოგადოებას მოვაგონებთ, რომ დროა გუდაუთელებმა თავისს საზოგადო საქმეებს მაგრად მოჰკიდონ ხელი და გონივრად წინ წარუძღვენ, შენჩემობა და მამინათლობა უკუ აგდონ და მარჯვე, მოხერხებული, საზოგადო საქმეთათვის გულშემატკივარი, გონიერი და პატიოსანი კაცი აირჩიონ მამასახლისად, რათა წარმატების გზაზე დააყენონ ჩვენი დაბა. სიფრთხილე მართებსთ, დაბის უფროსობა არ ჩაუგდონ საზოგადოების ქონების და დაბის შემოსავლის ჩაჯიბვის მოტრფიალეს, კარგსა და კეთილს საქმეში უნიჭოსა და უცხო კაცს. ჩვენი დაბა არც ისე ღარიბია შემოსავლითა, რომ, შედარებით, არ შეეძლოს გონიერ და პატიოსან პატრონის ხელში თავის საჭიროების დაკმაყოფილება, და კაცს ათქმევინოს: „რას გააწყობს კაცი, თუ ადგილი და გარემოება ხელს არ უწყობსო“. ერა, ვიმეორებთ, ადგილ მდებარეობისა და მშვენიერ ჰავის წყალობით, გონიერ და პატიოსან მომვლელის ხელში, ახლო მომავალში გუდაუთა გარდაიქცევა პატარა, მაგრამ მშვენიერ ქალაქად შავი ზღვის პირზე. იმედია, გუდაუთის ბედის გარდამწყვეტში თავისს ჭკუასა და გამოცდილებას კეთილად მოგვახმარებენ გუდაუთლებისაგან პატივცემულნი დ. ნადარეიშვილი და მ. ბუაძე და შესაფერს კაცს აგვარჩევინებენ გუდაუთის ბედ-იღბლის გამგედ და პატრონად.

⁂ **თელავი.** **უცნაური მკვლელობა.** ჩვენში ცის მნათობების მოძრაობა არ შეცვლილა, არც დედამიწას შეუწყვეტია თავისი ორმაგი მსვლელობა, მაგრამ ერთი დარგი ცხოვრების პირობანი ისე შეიცვალნენ, რომ უცნაურობით ნაკლებად არ გვაკვირვებენ, ვიდრე გამოიწვევდნენ ჩვენს გაკვირვებას ცის მნათობთა მოძრაობაში რაიმე ცვლილება.

18 თებერვალს პოლიციის საპყრობილედგან გამოსულა, გამოპარულა, თუ გამოუშვია ვისმე, არ ვიცი (თვით ამბობს, გამომიშვესო) თელავის მცხოვრებელი გიო ნადიროვი, რომელსაც ხელები უკან ჰქონია გაკრული და ასე ხელებ გაკრულს ჩაუვლია აღმოსავლეთის მხრივ ვიწრო ქუჩებზედ 4—3 საათზე შუადღის შემდეგ. ქუჩაზე მიმავალი ხელებ გაკრული ბევრს დაუნახავს. ქუჩაზედვე მოთამაშე ბიჭებს კიჟინა დაუციათ, მაგრამ არავის არ შეუყენებია ნადიროვი. ამ ნაირად ამას ჩაუვლია ეს ვიწრო ქუჩები და შესულა კურდღელაურის ორღობეში, საიდამაც გასულა მჭიდროდ დასახლებულს სუხიტაანთ უბანში, რომელიც თელავის იმ მხრივ უკანასკნელს სახლიდამ ნახევარ ვერსის მანძილზედ არის, შესულა აქა-იქ, უთხოვნია ხელები გამიხსენითო და ხელები არავის გაუხსნია, თუმცა კაცებიც ყოფილან და დედაკაცებიც. ბოლოს მისულა ქვრივს ნენე სუხიტაშვილის წნულ ქოხს მიჰყუდებია. რასაკვირველია, შემორტყმია გარს ცნობის მოყვარე სოფლის დედაკაცობა და დაუწყვია თავისებური გამოკითხვა. მცირე ხნის შემდეგ აქვე მოსულა თელავის დესეტნიკი. დაუნახავს ნადიროვი თუარა, უთქვამს დედაკაცებისთვის: იქით გამეცალეთ, უნდა მოვკლაო და თანაც ხელი რევოლვერის ბუდისაკენ წაუღია. ამოუღია რევოლვერი და მაინც არავის დაუჯერებია, რომ ეს კაცი რევოლვერს მოიხმარს. ამასობაში დესეტნიკს რევოლვერი მძიმედ მიუმარჯვნია სახლზედ მიყუდებულ ხელებ გაკრულ ვაჟკაცისათვის. რევოლვერის მიმარჯვებას შეუშფოთებია დედაკაცობა. იქავე მდგომს ბიძინაშვილს დაუძახნია: „კაცო, მართლა არ მოჰკლა, მაგის წაყვანას მე გიშველიო“. ამ ადგილიდამ ოც ნაბიჯზედ მეორე კაცი სუხიტაშვილი ურმის უბეებს სთლიდა, თურმე, და იმას მიუცია პასუხი ბიძინაშვილის ძახილზე: მოკლას, ქათამი ხომ არ არის, რას ამბობო“. თვით ხელებ შეკრულსაც ეტყობა დაპირდაპირებულ რევოლვერისა შეშინებია და შეუბღავლია: „ნუ მომკლავ, შენი ჭირიმე, აქა ვდგევარ, რაც გინდა მიყავი, საცა გინდა წამიყვენეო». ამასობაში ორ ნაბიჯზედ დამიზნებული რევოლვერი გავარდნილა და ვეზერთელა ვაჟკაცი, მდევივით ახოვანი, 27 წლისა, ახლგაზდა პირქვე დაცემულა. ჯერაც ის ადგილი არ გამშრალა სისხლისაგან, თუმცა ზედ ნაცარი მოუყრიათ. დიახ, ზარ დამცემი სურათია! ვინც ადგილობრივ ნახავს სისხლით შეღებილ დედამიწას, არ შეიძლება არ იკითხოს: ვისთვის იყო საჭირო ამ სისხლის დაღვრაო? რა გაკეთდა ამით, რომ ერთი ახალგაზდა გამოასალმეს წუთი სოფელს? როცა დაჭრილს ჰკითხეს საქმის გარემოება, იმან სთქვა თურმე: „მე სოფელ ვარდის უბანში დამიჭირეს, მომიყვანეს თელავს, აქ პოლიციის საყინულეში ჩამომკიდეს და ისე დამიწყეს ცემა. თანაც მეუბნებოდნენ: გატყდიო, რომ ვართაზაროვის მარანი შენ გასტეხე და ორი ჩაფი ღვინო მოიპარეო. მე არ მომიპარია და როგორ უნდა გავტეხილიყავიო? იმდენი მცემეს, მინამ გრძნობას დავკარგავდიო. მერე ჩამომხსნეს და ხელებ გაკრული იატაკზედ დამაგდესო. როცა გონს მოვედი, ერთმა დესეტნიკმა მითხრა: აი კარები ღიაა და თავს უშველეო. მეც გამოვედი და წავედიო“.

ის მართალია, რომ იმას ჰბრალდებოდა ღვინის მოპარვა და ცემისა და საკიდებლისა რა მოგახსენოთ, მაგას პროკურატურა გამოიძიებს.

წარსულს შემოდგომაზედ ერთმა დესეტნიკმა რევოლვერითვე მოკლა ერთი ყოვლად უწყინარი და ყველასათვის საყვარელი კაცი აზნ. ვასილ ბახუტოვი, რომელსაც ჯიბეში ნადები ორმოცი თუმანი აღარ აღმოუჩნდა.

ნადიროვმაც დღეს თქვენი ჭირი წაიღო.

წარსულ გაზაფხულზედ რევოლვერი რამდენჯერმე დაახალეს ევსევი ერისტოვს, ვერც ერთი-კი ვერ მოარტყეს, რადგანაც ბახუტოვს და ნადიროვს ორ ნაბიჯზედ ესროლეს, ხოლო ერისტოვს ხუთჯერ თუ მეტად ორ ნაბიჯზედ.

ბახუტოვი საღამოს ათს საათზედ ბაზრიდამ შინ მიდიოდა, ერისტოვი სასეირნო ბაღიდამ შინისაკენ მირბოდა და ნადიროვი ხელებ გაკრული სახლის კედელზედ იყო მიყუდებული.

ბაქოს დესეტნიკების რევოლვერები ფალიას იღებენ, არ ვარდებიან. იქაური მემატიანე სწუხს, უხეირო იარაღით არის შეჭურვილი ბაქოს პოლიციაო. აქაური დესეტნიკების რევოლვერები კარგად ვარდებიან და ამასთან სამში ორჯერ სასიკვდილოდაც ჰხვდებიან. ნეტავი ბაქოსა და თელავის დესეტნიკების რევოლვერები შეცვალონ.

⁂ **სოფ. ალი.** (გორის მაზრ.) **სომხების დანათვლა.** ამ თებერვლის 16-ს ს. ალში მცხოვრებლებმა სომეხთ გრიგორიანის სარწმუნოების გლეხთა: ალექსანდრე გარსევანოვმა თავის დანიშნულის ევა თანდიაშვილის ასულით და ზაქარა გიგუაშვილმა თავის დანიშნულის ელისაბედ მღებრიშვილის ასულით, მიიღეს მართლ მადიდებელი სარწმუნოება. ესენი დანათლა ს. ბროლოსნის სამრევლოს მღვდელმა ალექსი კეულიევმა, დიაკვნის სოლომონ მაჭარაშვილისათანა; რომლის შემდეგაც ამავე სამრევლოს კრებულმა უსასყიდლოთ დასწერეს ჯვარი თავთავიანთ დანიშნულზედ. მღვდელმა ალექსი კეულიევმა გაუმართა თავის ხარჯით მშვენიერი საუზმე და დიდის მშობლიურის სიყვარულით აძლევდა დარიგებას და უხსნიდა მართლ-მადიდებელ სარწმუნოების კანონს და მნიშვნელობას; ისინიც დიდის სიხარულით და სიამოვნებით უსმენდნენ დარიგებას, იქ დამსწრე სხვ. სომხებსაც აევსოთ გული სიხარულით, რადგან ისმენდნენ მღვდლისგან მშობლიურს სიყვარულ-დარიგებას და ბევრმა სხვამაც აღიარა სურვილი მართლ-მადიდებლის სარწმუნოების მიღებისაა.

დაღვრემილი კომიკი. მთელს ქვეყანაში განთქმულ იყო კოვენტგორდენის თეატრის ნიჭიერი კომიკი ლისტონი. ის რომ თეატრში თამაშობდა ხოლმე, ხალხი სიცილით იხოცებოდა. სახლში კი ლისტონი მუდამ დაღვრემილი და მოწყენილი იყო. ცოლმა ურჩია, გამოჩენილ ექიმ იბერნეტისთან წადიო.

— რა გტკივათ?—იკითხა ექიმმა.

— ძლიერ მოწყენილი ვარ, დაღვრემილი.

— სულ ეგ არის? მერე ეგ რა სათქმელი ავადმყოფობაა, დღესვე კოვენტგარდენის თეატრში წადით და ლისტონის თამაშობა ნახეთ. თუ არ გამხიარულდით, მეორედ წადით. ორჯერ რომ თეატრში ნახოთ ლისტონი, საკმარისია, უეჭველად გამხიარულდებით...

ლისტონმა ექიმს ფული მისცა და უფრო დაღვრემილი წამოვიდა შინ. ექიმისთვის არც-კი უთქვამს, მე თითონა ვარ ლისტონიო. რა თქმა უნდა, ექიმი სახტად დარჩებოდა, ლისტონს რომ თავისი ვინაობა ეთქვა.

ოჯახის თავი. ერთმა კაცმა იჩივლა მოსამართლესთან, ცოლმა სახე დამაკაწრაო. მოსამართლემ უთხრა ცოლს: როგორ არა გრცხვენიანთ, ეგრე ექცევით თქვენს ქმარს, განა არ იცით, რომ ქმარი ოჯახის თავია?

— ჰო და კარგი, განა უფლება არა მაქვს ხან და ხან თავი მოვიფხანო.

ცოტათი გათხოვება. ხანში შესული გაუთხოვარი და ავადმყოფი ქალი ზღვის ნაპირას დასეირნობდა და შეხვდა თავის ექიმს.

— აი, ექიმო, ხომ ხედავთ, როგორ ვასრულებ თქვენს რჩევას. ყოველ დღე ცოტათი მზეზედ ვზივარ, ცოტათი დავსეირნობ.

— ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა, ცოტათი გათხოვილიყავითო,— უპასუხა ულმობელმა ექიმმა.

რკინის გზის ამბები.

ბაქო. 23 თებერვალს, დილის 10-ს საათზედ მატარებელზე უნდა ასულიყო მემედ ტაგი-ოღლი, ბაქანიდგან ჩავარდა ვაგონებს ქვეშ და თვლებმა ფეხის ტერფი დაუჩეჩქვა და ოთხი თითი მოსწყვიტა.

რკვია. 23 თებერვალს ჭიათურის გზაზე, 26 ვერსზე, კონდუქტორი დიმიტრი წერეთელი აბამდა ვაგონებს მატარებელზე, თითი მოჰყვა ვაგონსა და მატარებელს შუა და ერთი თითი მთლათ გაეჭყლიტა.

მოლითი. 23 თებერვალს, 161 ვერსზედ, მემანქანემ მატარებლის № 49-ისამ შენიშნა ლიანდაგზე მწოლარე კაცი. მატარებელი გააჩერა და ნახეს, რომ მთვრალ დესეტნიკს მაშაკოვს ეძინა, გააღვიძეს და ისევ წავიდა, 20 წუთ დაგვიანებული.

◆

თეატრის მატიანე

გორი. **ქართულ-სომხური წარმოდგენა.** ქართული წარმოდგენის შემდეგ მესამე დღეს, 18 თებერვალს, გაიმართა გორის საკრებულო დარბაზში სომხურ სცენის მოყვარეთაგან ბ-ნ არაქსიანის მონაწილეობით წარმოდგენია. ითამაშეს „პეპო“ სუნდუკიანცისა და ვ. გუნიას ვოდევილი „რაც არ მერგება, არ შემერგება“. პირველი წარმოდგენილ იქმნა სომხურად, მეორე-კი ქართულად, სადაც მონაწილეობას იღებდნენ აქაური ქართულ სცენის მოყვარულნი: ქბ. ლომაურისა, ბ. ბ. კანდელაკი და თვალიაშვილი. წარმოდგენამ მხიარულად და მწყობრად ჩაიარა. წარმოდგენის გათავების შემდეგ ბ. არაქსიანმა წაიკითხა სახუმარო კუპლეტები და ბევრი აცინა ხალხი. მაყურებელნი მრავალნი დაესწრნენ. შემოსავალი, როგორც ამბობენ, წინა წარმოდგენაზედ მეტი იყოვო და მოხმარდა ღარიბ მოწაფე ქალთა სომხის სკოლისას.

წვრილი ამბები

კუნძულ კუბაზედ აჯანყებულთა სამხედრო გაზეთი, რომლის მეცამეტე №-იც ამ მოკლე ხანში გამოსცეს, სრულებით განსხვავებულია სხვა ჟურნალ-გაზეთთაგან. სახელად „La inbependencia“ ჰქვიან; მისი გამოცემა და ბეჭდვა ფრიად ძნელი რამ არის: ასოთამწყობი, იგივე რედაქტორია გაზეთისა. სტამბა უფრო უცნაურია: ცხენს კისერზედ ტყავის ყუთი ჰკიდია, რომელშიაც ასოები ინახება. რედაქტორი ყველგან დაყვება თავის თანა მემამულეთ და ბრძოლის ველზედ ჰბეჭდავს თავის გაზეთს, რომელიც რვა ფურცლიან ბროშიურად გამოდის, გაზეთი ხის დაფაზე იბეჭდება; ეს ფიცარი ძრიელ წააგავს ყველის საქაჯავს (Прессъ). ამ ასარებულის რედაქტორ ასოთ-ამწყობის გვარია ხოზეგინო. თანამშრომლებად 19 წარჩინებულნი აჯანყებულთაგანი ჰყავს. „La inbepeudencia“ რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთად ითვლება. ამ საოცარის გაზეთით აჯანყებულნი ალბად ეგროპიელ ჯარებსა ჰბაძვენ, რომელთაც ამ ბოლოს დროს შემოიღეს სტამბები ომიანობისათვის. პირველად ეგრეთი სტამბები 1894 წელს გერმანიაში შემოიღეს. დიდი აღლუმის დროს. ამ სტამბების საგანი ის არის, რომ ერთი და იგივე განკარგულება სპასალარისა სწრაფად შეატყობინონ ხოლმე სხვა და სხვა ჯარების სარდლებს. სტამბა ეტლებზედ არის გამართული: ორს ეტლზე სტამბის სხვა და სხვა მასალაა მოთავსებული, მესამეზედ საბეჭდავი მანქანა და მეოთხეზედ—თითონ რედაქცია. კუბის აჯანყებულთ ძრიელ შველის თურმე ხსენებული გაზეთი.

რედაქციის პასუხები

ი. ნინ—შვილს. თქვენი წერილი «საქართველოს სურათებში“ არ დაიბეჭდება, რადგან თქვენი სურვილი უკვე განახორციელა ივ. როსტომაშვილმა. ნახეთ ალბომი „ქართველთა ტომი“. ღირს ხუთი მ. იყიდება ყოველ წიგნის მაღაზიებში.

გ. ჯიხ—ელს თქვენი შენიშვნა „ივერიის» მეფოსტეს„ არ დაიბეჭდება, რადგან შენიშვნის კილო ცოტა არ იყოს მოუხერხებელია.

სუფსა. მოქალაქეს. უსახელო წერილებს არა ვბეჭდავთ.

მათე რ—ილს. იმ საგანზე, რომელზედაც თქვენ იწერებით, მრავალჯერ გვქონია დაბეჭდილი შენიშვნები.

სია ქართველ მამულის პატრონთა, რომელნიც ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილს ქალაქის ამომრჩეველთა ნუსხაში არიან მოქცეულნი.

(შემდეგი *)

ქუქაშვილი კონა დავითის ძე.
ზაალიშვილი ანა მიხეილის ასული.
ზალიკანიანი გიორგი ბასილის ძე.
ზედგინიძე ბასილ ლუარსაბის ძე.
ზუბალაშვილისა ეფემია ალექსანდრეს ასული.
ზუბალაშვილი ადოლფ ზაქარიას ძე.
ზუბალაშვილი ალექსანდრე იაკობის ძე.
ზუბალაშვილი ივანე ანდრიას ძე.
ზუბალაშვილი ივანე იაგორის ძე.
ზუბალაშვილი ნიკოლოოზ დავითის ძე.
ზუბალაშვილი ნიკოლოოზ იაგორის ძე.
ზუბიაშვილი მიხეილ ბერის ძე.
ზუკაკაშვილი გიორგი სიმონის ძე.
იაშვილი პეტრე ივანეს ძე.
იობაშვილი მაქსიმე გიორგის ძე.
იორამაშვილი გიორგი იოსების ძე.
იოსელიანი ივანე.
იოსელიანისა ნინო მერაბის ასული
იმედაშვილი ივანე იოსების ძე.
იმნაძე იაკობი.
ისაკაძე სოლომონ ბერის ძე.
ისარლოვისა ანნა.
ისარლოვისა ბარბარე ალექსანდრეს ასული.
ისარლოვისა მარიამ ლუკას ასული.
ისარლოვი იოსებ ლუკას ძე.
ისარლოვი მიხეილ პეტრეს ძე.
ისარლოვი ნიკოლოოზი.
ისარლოვი პეტრე იაგორის ძე.
ისარლოვი ფარნაოზ სტეფანეს ძე.
ისარლოვი იაკობ პეტრეს ძე.
ქავთარაძე სტეფანე შარვანის ძე.
კაზიაშვილი მათე გიორგის ძე.
კაკაბაძე გიორგი.
კალანდარიშვილი ალექსანდრე ბეკოს ძე.
კალატოზიშვილი გიორგი ზაქარიას ძე.
კანდელაკი ილარიონ ივანეს ძე.
კაპანაძისა ნინო.
კარსელიშვილი ესტატე დავითის ძე.
ქართველიშვილისა თამარ სოლომონის ასული.
ქართველიშვილი გაბრიელ გაბრიელის ძე.
ქართველიშვილი გიორგი დავითის ძე.
ქართველიშვილი ივანე მიხეილის ძე.
კვეზერელი-კოპაძისა სოფიო რომანოზის ასული.
ქველიაშვილი ნინიკო ივანეს ძე.
ქველიძე გიორგი ოქრუას ძე.
კვესაძე ტატო გლახას ძე.
კვიკვიძისა მართა პეტრეს ასული.
კიკვიძე სიმონ საგინას ძე.
კვინიტაძისა პელაგია გრიგოლის ასული.
კენჭოშვილი იოსებ გრიგოლის ძე.
ქიქოძე დავით გიორგის ძე.
ქიქოძისა სოფიო სიმონის ასული.
ყიფიანი ვასილ როსტომის ძე.
კიპრიზოვი სოლომონ ქრისტეფორეს ძე.
კობიაშვილისა ეკატერინე იოსების ასული.
კობიაშვილი სიმონ იოსების ძე.
კოჟაშვილი ივანე ბასილის ძე.
კოპაძისა ანა გიორგის ასული.
კარბელაშვილისა მარიამ გიორგის ასული.
კორინთელისა თინათინა ივანეს ასული.
კოტეტაშვილისა მარიამ პეტრეს ასული.
კოჩუაშვილი ანდრია ლუკას ძე.
კულუმბეგაშვილი ლევან ბეჟანის ძე.
ლეონიძისა ნინო გერასიმეს ასული.
ლობჟანიძე გრიგოლ დავითის ძე.
ლომიძე ანდრია სოლომონის ძე.
ლომიძისა ქეთევან სოლომონის ასული.
ლორთქიფანიძე ვასილ მოსეს ძე.
ლორთქიფანიძე გიორგი პავლეს ძე.
მაღალდაძე ზაქარია პეტრეს ძე.
მაღლაშვილი ისაკ მათეს ძე.
მაისურაძისა ივანეს ასული.
მაისურაძე ზაქარია პეტრეს ძე.
მაისურაძისა ნინო პავლეს ასული.
მაისურაძე პეტრე ქიტესას ძე.
მამაცაშვილი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე.
მამრაძე გრიგოლ პეტრეს ძე.
მანჯავიძე მინაი ზურაბის ძე.
მანსვეტოვისა ნატალია გაბრიელის ასული.
მასრაშვილი პეტრე გლახას ძე.
მათიაშვილი ნიკოლოოზ ზაქარიას ძე.
მაჩაბლისა ანასტასია ალექსანდრეს ასული.
მდივანი ასლან გიორგის ძე.
მდივანისა მარიამ იაგორის ასული.
მდივანისა თამარი.
მეგრელიშვილი ლევან გაბრიელის ძე.
მელიქიშვილი თავ. ალექსანდრე ივანეს ძე.
მჭედლიშვილი ესტატე.
მჭედლიშვილი ედიშერ ბეჟანის ძე.
მიქაძე გლახა.
მანაძე ივანე სტეფანეს ძე.
მიროტაძე დიმიტრი გიორგის ძე.
მორთულაძისა ეფემია იასეს ასული.
მრევლიშვილი ივანე იოსების ძე.
მთვარელიშვილი ნიკოლოოზ ვასილის ძე.
მჭედლიძისა ბარბარე გიორგის ასული.
ნადირაძისა მელანია.
ნანობაშვილი იროდიონ იორდანეს ძე.
ნასარიძე გიორგი ივანეს ძე.
ნასიძე.
ნათიაშვილისა ნინო მიხეილის ასული.
ნათიაშვილი გიორგი ეფრემის ძე.
ნათიაშვილი ნიკოლოოზ ივანეს ძე.
ნატროშვილი ანტონ ივანეს ძე.

(დასასრული იქნება)

ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

ტფილისის საგუბერნიო მმართველობა აცხადებს, რომ 1 მაისს 1897 წელსა, დილის 11 საათზე, საჯაროთ გაიყიდება შემდეგი რვა მამული:

1. სამ-სართულიანი სახლი ანნა სარქისის ასულის და მიხეილ ზაქარიას ძის გარმელოვებისა, თბილისის მე-9 განყოფილებაში, მიხეილის ქუჩაზე, მიწა ზომით $31^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი, დაფასებულია 2400 მან., ვალი აქვს აწ გაუქმებულ პრიკაზისა 3610 მან. და 17 კაპ.

2. ორ-სართულიანი სახლი სარდაფით აწ განსვენებულის ეკატერინე დავითის ასულის კარლამოვისა, რომელიც იმყოფება თბილისის მე-9 განყოფილებაში, ნაბერეჟნი ქუჩაზე, № 15. მიწა ზომით 500 ოთხ-კუთხი საჟ., დაფასებულია 13,600 მან. თავნი ვალი აქვს იმავე პრიკაზისა 18,260 მან. და 88 კ., გარდასახადი (ნედოიმკა) 56,733 მან. 8 კაპ., ვაჭრობა დაიწყება 14,050 მანეთიდამ, რომელიც აძლიეს ამ მამულში 4—8 მაისს 1895 წელსა.

3. ერთ-სართულიანი დუქნები, სარდაფით, განსვენებულის სოლომან ივანეს ძის შაბუროვისა, ტფილისის 1 განყოფილებაში, გოლოვინის პროსპექტზე, მიწის ზომა 793 ოთხ-კუთხი საჟენი, დაფასებულია 14,400 მანათად, თავნი ვალი 157,324 მან. 32 კაპ., გარდასახადი 6400 მანათი და 79 კაპ., წლიური გადასახადი პირველ 12 წელიწადს 6,686 მან. და 66 კაპ., და მეორე 12 წელიწადს 9037 მან. 12 კაპ. ვაჭრობა დაიწყება 77,000 მანათიდამ, რომელიც აძლიეს ამ მამულში $^9/_{13}$ მაისში 1895 წელსა.

განცხადებანი

განსაკუთრებული
საათების
სახელოსნო
ბეგლიარ
ავაკიანცისა

ვღებულობ ყოველგვარ საათებს შესაკეთებლად. ფასი ყველაფერზე ზომიერია. ყოველ შეკვეთას ვასრულებ წმინდად და სინიდისიერად.
ბეგლარ ავაკიანცი.

იქვე გამართულია
საოქრომჭედლო სახელოსნო
ნიკოლოზ იმედოვისა

სახელოსნო ასრულებს ყოველ გვარ საქმეს ოქრო-მჭედლურ ხელობისას სუფთად, მკვიდრად, შნოიანად, სწრაფად და იაფად!
(30—4)

საყოველთაო ნომრები
ტფილისში, რიყის ქუჩაზე, თავ. ბეგთაბეგოვის სახ. № 89.

ყოველთვის იშოვება იაფი, სუფთა ოთახები ყველასათვის, მეტადრე ყარსის რკინის გზის მოგზაურთათვის.

იქვე დუქანია „სამტრედი“ თადეოზ კალაძისა, გემრიელ და ნოყიერ საჭმელ-სასმელით.

Въ Тифлисѣ, на Песковской улицѣ, въ домѣ кн. Бегтабегова, № 89, имѣются на постояломъ дворѣ
дешевые номера
духанъ „САМТРЕДИ“.
Содержатель Т. Каладзе.
(5—2)

аზიური მაღაზია
ასლან ავალიანისა
(გოლოვინის პროსპექტი, შიოევის სახლში, ტფილისის კრუჟოკის ქვეშ)

მუდამ ჟამს მაქვს გასასყიდათ მრავალი სხვა-და-სხვა ღირსების შალები: იმერული, მეგრული, ლიგორული, ლეკური და სხვ. აგრეთვე თივთიკები; ქამარ-ხანჯალი, მასრები და სხვა იარაღები და მოწყობილობა.

იქვე მაქვს მშვენივრად გამართული სამკერვალო და ფეხსაცმელთა სახელოსნო.

ფასი ყველაფერზე ზომიერია. შეკვეთას ვასრულებ სწრაფად და სუფთად.

!!!რკინის გზაზე მოსამსახურეთა საყურადღებოდ!!!

მაქვს პატივი ვაუწყო ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა და მოხელეთა, რომ ჩემს მაღაზიაში მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველფერი ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით

✦ ჩერქეზული ტანისამოსი თავის მოწყობილობით ✦

მსურველთ უნდა წარმოადგინონ რკინის გზის „დამზოგველ საზოგადოების“ მოწმობა და მაშინ იმათ დაეთმობა ღირებულ ფასიდან $10^0/_0$, ანუ მანათზე ორი შაური.

პატივისცემით ასლან ავალიანი.

Азіятскій магазинъ и мастерская А. Аваліани
Тифлисъ. Головинскій пр. д. Шіоева, подъ Тиф. Кружкомъ.
(15—10)

ბუღალტერიის შესწავლა
ვისაც საფუძვლიანად სურს შეისწავლოს
სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს ი. ია. ბრონ ფონ-ბრონერს.
ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა **40** მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ,**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Тортовыхъ и вексельныхъ** узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРОННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита.

Плата за весь курсъ 40 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца. Спросить: Михайловская, 71. Аттестаты за успѣшныя занятія реальнаго училища и школы садоводства. (წ.)

გამოვიდა და იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში
ვალერიან გუნიას
შედგენილი და გამოცემული
საქართველოს კალენდარი
1897 წ.



✦ კალენდარი ღირს 50 კაპ., ყდით 60 კაპ. ✦
უმთავრესი საწყობი გამომცემლისა: ტფილისი, ფრეილინის ქ. № 13.

ამ წიგნში წინ ჩაკერებულია სურათები, სახელდობრ: „საქართველოს კალენდრის“ ალბომი 1—48 გვ.

იგი შეიცავს 566 გვერდს დიდის ზომისას, რომელზედაც მოთავსებულია სხვა-და-სხვა მრავალ საკალენდარო, სასარგებლო და საჭირო ცნობათა გარდა სალიტერატურო ნაწილიც. კალენდარი დასურათებულია 78 ნახატით.

---

*) იხ, „ცნობ. ფურ.“ № 122

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Февраля 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.